ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №20

ქ. თბილისი

28 მაისი, 2015 წელი

ერთის მხრივ, **შპს „ანაკლია“** (შემდგომში - "შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის მიხეილ ჭავჭავაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს ,,ნათება-2010"** წარმოდგენილი დირექტორის თამაზ ბერაიას სახით (შემდგომში" - მიმწოდებელი") საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აგვისტოს N 1431 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდის გვერდითა, დაჭიმული ბოგირების განათებისა და განმუხურის სანაპირო ზოლში გარე განათების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშოების შესყიდვა, შემდგომში – „სამუშაო“. (CPV კოდი: 45310000)
1.2. სამუშაო ხორციელდება შპს ,,ანაკლიასა" და შპს ,,ზუგდიდექსპერტიზას" შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 2015 წლის 27 მაისის მომზადებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც დანართი N1-ის სახით ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
1.3. სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა სახის საჭირო ნებართვის მოპოვებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.
1.4. შესრულებული სამუშაოს შემოწმება და მიღება-ჩაბარება ხორციელდება შესაბამისი ექსპერტიზის ბიუროს დადგენილი შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომლის მომსახურების ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **48 766 (ორმოცდარვაატას შვიდასსამოცდაექვსი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ- ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს სამუშაოს შესრულების შემდგომ შესაბამისი საექსპერტო დასკვნისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი ხელმოწერიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიღება-ჩაბარება დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „ანაკლიის“ საორგანიზაციო საკითხების სპეციალისტი - კობა ქარჩავა.
4.3. მხარეები თანხმდებიან, რომ შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს მიღება-ჩაბარება განხორციელდება, მხოლოდ მას შემდგომ, რაც მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო დააკმაყოფილებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
4.4. შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს შესრულებული სამუშაო, თუ იგი არ აკმაყოფილებს მხარეთა წინასწარ შეთანხმებულ ხარისხსა და მოთხოვნებს.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდების ადგილია: ანაკლია-განმუხური.

5.2. სამუშაოს შესრულება დაიწყება ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე და დასრულდება არაუგვაინეს 2015 წლის 30 ივნისს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი ვალდებული"

6.1.1. ხელი შეუწყოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების სრულ რეალიზაციაში.

6.1.2. დროულად განახორციელოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

6.1.3. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.2. „მიმწოდებელი ვალდებულია"

6.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება შემსყიდველისათვის შეუფერხებლად და ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;

6.2.2. შეასრულოს სამუშაო თანდართული პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

6.2.3. სამუშაოს შესრულების შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად შემსყიდველს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ფორმა N2;

6.2.4. სამუშაოს შესრულებისას დაიცვას უსაფრთხოების ნორმები;

6.2.5. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაო გაუმართავ და შეუფერხებელ კონდიციაში 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2.6. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

6.3. „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი"

6.3.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

6.3.2. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.5. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შესრულებულ სამუშაოზე და აცხადებს, რომ შესყიდვის ობიექტი არ დაზიანდება ნორმალური ცვეთის პირობებში და იქნება გამოსადეგი შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

6.6. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ობიექტს, ან მის ხარისხს აღმოაჩნდა ფარული ნაკლი და აღნიშნული ცნობილი გახდა შემსყიდველისათვის მიწოდების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე უმოკლეს ვადებში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ნაკლი ან აუნაზღაუროს დამდგარი ზიანი შემსყიდველს.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შპს ,,ანაკლიის" უფლებამოსილი თანამშრომელი.
9.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.
9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე ვალდებულების შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებისათვის.
10.2. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული სამუშოს შესრულების ვადების გადაცილებისათვის ეკისრება საურავი ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგაადცილებულ დღეზე.
10.3. საურავის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.
10.4. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. სხვა პირობები

11.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.
11.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე ეგზემპლიარი „შემსყიდველს".

12. მხარეთა ხელმოწერა და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
შპს „ანაკლია"
მის: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12
საიდენტიფიკაციო კოდი: 404396293
ბანკი: სს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE58BG0000000318986400

დირექტორი
მიხეილ ჭავჭავაძე

მიმწოდებელი:
შპს ,,ნათება 2010"
მის: ზუგდიდი, კ. გამსახურდიას №193, ბ.29
საიდენტიფიკაციო კოდი: 419982987
ბანკი: სს ,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/GE28TB7346836080100001

დირექტორი
თამაზ ბერაია

შ.პ.ს „ზუგდიდექსპერტიზა“

ანაკლია-განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის და ხიდის გარე-განათების აღდგენითი სამუშაოების

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება **48,766** ათ. ლარი

შ.პ.ს. „ზუგდიდექსპერტიზა“–ს

დირექტორი: /ზ. ბერულავა/

რეგ. №

თარიღი: 27. 05. 2015 ∇

<u>განმარტებითი ბარათი</u>

ანაკლია-განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის და ხიდის გარე-განათების აღდგენითი სამუშაოებზე

წარმოდგენილი პროექტში დამუშავებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კურორტ ანაკლია განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლზე გარე ელ-განათების აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშა ოების ხარჯთაღრიცხვა

საკურორტო სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით ანაკლია - განმუხურის სანაპირო ზოლზე მოწყობილი გარე ელგანათების სამუშაოები მოითხოვს განახლებასა და აღდგენას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია მიწისქვეშა დაზიანებული კაბელების გამოცვლა სავალ ნაწილზე ბეტონის ფილების აყრით და ხელახლა აღდგენით.

უნდა გამოიცვალოს გარე განათების სადენები ბოძებზე, იცვლება განათების ნათურები 349ც ხიდზე უნდა გამოიცვალოს ბაგირზე დაკიდული დიოდის შლანგი ბაგირიანად.
ასევე იცვლება ავტომატური გამომრთველები და დროსელები.

ხარჯთაღრიცხვა შედგენილია 2015 წლის Iი კვარტალის მდგომარეობით გამოცემული სამშენებ - ლო რესურსებისა და რეგიონული საბაზრო ფასების გამოყენებით 1984 წლის რესურსულ ბაზაზე.

ზედნადები ხარჯების ნორმად მიღებულია - 10%
გეგმიური მოგება - 8%

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა შპს "ზუგდიდექსპერტიზა" GEORGIAN CHAMBER OF COMMERCE AND INDUSTRY ZUGDIDIEXPERTIZA LTD 220002128

ობიექტი: კურორტ ანაკლია

ანაკლია-განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის და ხიდის გარე-განათების აღდგენითი სამუშაოების

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება **48,766** ათ ლა(დღგ-ს ჩათვლით

შედგენილია: 1984წლის სახარჯთაღრიცხვო ნორმატივებისა და 2015 წლის II კვარტლის საბაზრო რესურსულ ფასებში

№	ნორმატივის ნომერი და შიფრი	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	განზომ	რაოდენობა		ღირებულება (ლარი)						
				ობიექტი ერთეულზე	საპროექტო მონაცემებ	ხელფასი		მასალები		მექანიზმები		
				ერთ.	სულ	ერთ.	სულ	ერთ.	სულ	ერთ.	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
		I სამშენებლო სამუშაოები										
1	ცხრ46-24-1	ტროტუარზე არსებული ბეტონის ამოჭრა 750X0,2X0,1მ	მ3		15							
		–შრომითი დანახარჯი 0.034X1.15	კ/სთ	7,8	117	4,6	538,2					5
		სხვა მანქანები სანგრევი ჩაქუჩი	ლარი	4,1	61,5					14,72	905,28	9
2	ცხრ 1-80-2	ლენტური თხრილის (ტრანშეა) გაჭრა ხელით (300+450)X0,2X0,3მ	$მ^3$		45							
		–შრომითი დანახარჯი 0.034X1.15	კ/სთ	1,54	69,30	4,6	318,78					3
3	სრფ 13-5	ბეტონის ნარჩენების დატვირთვა ა/თვითმცლელზე და გაზიდვა 5კმ-ზე	ტ	2,2	33	2,4	79,20			3,1	102,3	1
4	ცხრ 22,8-3	კაბელის გასატარებელი პოლიეთილენის პლასტმ. მილის დ-25მმ და დ-40მმ მოწყობა ქვიშის საფენზე	გ/მ		750							
		შრომითი დანახარჯი	კ/სთ	0,0959	71,925	6	431,55					4
		მექანიზმები 0.164X1.05	მ/სთ	0,0045	3,38					3,2	10,80	1
	სრფ 2,5-1	პოლიეთილენის მილის ღირებულება დ-25	გ/მ		300			0,8	240,0			2
	სრფ 2,5-4	პოლიეთილენის მილის ღირებულება დ-40 თურქული	გ/მ		450			2,4	1080,0			10
5	ცხრ 23-1-1	ტრანშეაში ქვიშის მოწყობა პოლიეთილ მილის დაფარვით 750(0,3X0,2მ	$მ^3$		45							
		შრომითი დანახარჯი	კ/სთ	1,8	81,00	6	486,00					4
6	ცხრ 11-1-5	ბეტონის საფარის ქვეშ ღორღის საფენის მოწყობა ფრ 5-20 სისქ.10სმ	$მ^3$		15,0							
		შრომითი დანახარჯი	კ/სთ	3,16	47,40	6	284,40					2
		ღორღის ღირებულება	$მ^3$	1,25	18,75			14,8	277,5			2

		ტრანსპორტირება 10კმ-დან	ტ	1,6	24					5,20	124,80	1
7	ცხრ 11-11-1	ბეტონის საფარის აღდგენა 6,0X1 სისქით 10სმ	მ²	–	150							
		შრომის დანახარჯი	კაც/ს	0,56	84,00	4,6	386,40					3
		მანქანები	მან/სთ	0,0342	5,13					3,2	16,42	
	ქარხნული	ბეტონი მ-200	მ3	0,105	15,75			127,00	2000,3			20
		ტრანსპორტირება 30კმ-დან	ტ	2,2	34,65					11,33	392,58	3
		სულ ჯამი ა					**1986,3**		**3598**		**646,9**	**6**
	სატრანსპორტო ხარჯები მასალების შიდა გადაზიდვაზე 3%										**107,9**	**1**
		ჯამი										**6**
		ზედნადები ხარჯები	**10%**									**6**
		ჯამი										**6**
		გეგმიური დაგროვება	**8%**									**5**
		ჯამი										**7**
		თავი II ელსამონტაჟო სამუშაოები										
1	8-149-1	**სადენების გატარება წინასწარმომზადებულ მილში**	100მ		7,5							
		–შრომითი დანახარჯი	კაც/ს	11	82,50	6	495,00					4
2	8-150-1	**ხიდზე ბაგირზე დაკიდული დიოდის შლანგის გამოცვლა ბაგირიანად**	100მ		5							
		–შრომითი დანახარჯი	კ/სთ	14	70,00	6	420,00					4
3	8-368-1	**სადენების გამოცვლა განათების ბოძებზე**	კმ	–	0,9							
		–შრომითი დანახარჯი	კ/სთ	18	16,20	6	97,20					9
4	8-521-11	**3პოლუსიანი 250ა ავტომატური ამომრთველის მონტაჟი**	ც		4							
		შრომითი დანახარჯი	კ/სთ	3	12	6	72					
5	8-521-10	**3პოლუსიანი 100ა ავტომატური ამომრთველის მონტაჟი**	ც		10							
		შრომითი დანახარჯი	კ/სთ	2	20,00	6	120,00					1
6	8-525-2	**2პოლუსიანი 63ა ავტომატური ამომრთველის მონტაჟი**	ც		12							
		შრომითი დანახარჯი	კ/სთ	2	24,00	6	144,00					1
7	8-574-58	**დროსელის გამოცვლა 150ვტ და 400ვტ**	ც		104,0							
		შრომითი დანახარჯი	კ/სთ	1	104,00	6	624,00					6
8	8-602-1	**ნათურების გამოცვლა**	100ც		3,49							
		შრომითი დანახარჯი	კ/სთ	63	219,87	6	1319,22					1
		ჯამი II					**3291,4**					3
		ზედნადები ხარჯები 75%	**75%**									**24**
		ჯამი										**57**
		მასალები										

1	სრფ7.2-76	სადენი ППВ-3 2X4მმ	გ.მ		500			1,53	765,0			7
2	სრფ7.2-75	სადენი ППВ-3 2X2,5მმ	გ.მ		300			1,08	324,0			3
3	სრფ7.2-74	სადენი ППВ-3 2X1,5მმ	გ.მ		400			0,64	256,0			2
4	სრფ78-319	სიპ კაბელი 4X16მმ	გ.მ		450			2,54	1143,0			1
5	სრფ7,17-111	დროსელი 400ვტ	ც	–	24			35	840,0			8
6	სრფ7.17-112	დროსელი 150 ვტ	ც		80			30	2400,0			24
7	ს/ფ	იგნეტორი	ც		110			15	1650,0			16
8	ს/ფ	ნათურა ორკონტაქტიანი 150ვტ	ც		80			25	2000,0			20
9	ს/ფ	ნათურა სოდიუმის 150ვტ	ც		180			22	3960,0			39
10	ს/ფ	ნათურა ჟ-12 ცოკოლით 150ვტ (მონტორსი)	ც		40			40	1600,0			16
11	ს/ფ	ნათურა ფურიოს 150ვტ	ც		25			40	1000,0			10
12	ს/ფ	ნათურა მეტალოჰალოგენის 400ვტ	ც		24			48	1152,0			1
13	სრფ7.17-54	ავტომატური ამომრთველი 3 პოლუსიანი 250ა	ც		4			344	1376,0			1
14	სრფ7.17-71	ავტომატური ამომრთველი 3 პოლუსიანი 100ა	ც		10			201	2010,0			2
15	სრფ7.17-66	ავტომატური ამომრთველი 2 პოლუსიანი 63ა	ც		12			28	336,0			3
16		დიოდის შლანგი	გ.მ		500			4,8	2400,0			24
17		ლითონის ბაგირი 4მმ	გ.მ		500			0,9	450,0			4
		ჯამი ბ							23662,0			23
		სატრანსპორტო ხარჯები მასალების შიდა გადაზიდვაზე	5%								1183,1	11
		ჯამი										24
		გეგმიური დაგროვება	8%									19
		ჯამი										20
		სულ ჯამი თავი II										32
		ჯამი თავი I - II					5277,8		27259,8		1937,9	40
		გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%									1
		ჯამი										41
		დღგ	18%									74
		სულ ჯამი										48

შეადგინა: მ. ცაავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის თემი

ანაკლია-განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის და ხიდის გარე-განათების აღდგენითი სამუშაოების

სამუშაოთა წარმოების კალენდარული გრაფიკი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წვლილი

30 კალენდარული დღე

1	სამუშაოების ჩამონათვალი	განზომილ	რაოდენობ	I თვე																												II თვე							
				I დეკადა										II დეკადა										III დეკადა										I დეკადა							
				1	2	3	4	5	6	7	8	9	10	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	1	2	3	4	5	6	7	8
1	სამობილიზაციო სამუშაოები	დღე	3																																						
2	სადემონტაჟო სამუშაოები	მ3	15,0																																						
3	სამშენებლო სამუშაოები (გრუნტის გათხრა, ბეტონის აღდგენა და	მ3	15,0																																						
	ელსამონტაჟო სამუშაოები																																								
4	კაბელების აღდგენა	გ.მ	750																																						
5	სადენების აღდგენა	გ/მ	900*																																						
6	ელნათურების გამოცვლა	ც	349																																						
7	ხიდზე ბაგირზე დაკიდული დიოდის შლანგის გამოცვლა ბაგირიანად	*გ.მ	500																																						
8	ავტომატური ამმომრთველების გამოცვლა	ც	26																																						
10	ნარჩენების გატანა	მ2	6																																						
17	**პროექტის ჩაბარება**	დღე	3																																						

ექსპერტი მ. ცაავა

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მპგ „ზუგდიდის სავაჭრო-სამრეწველო პალატა"
CHAMBER OF COMMERCE AND INDUSTRY "ZUGDIDE"
GEORGIAN CHAMBER OF COMMERCE AND INDUSTRY * ZUGDIDE CHAMBER OF COMMERCE AND INDUSTRY LTD * 220002128

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის

არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

28 მაისი 2015 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბიმისად, ქვემომითითებული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შპს ,,ნათება-2010”-თან ანაკლია-განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლისა და ხიდის გარე განათების აღდგენითი სამუშაოების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ზემოაღნიშულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე პირები:

დირექტორი მიხეილ ჭავჭავაძე

მომსახურების მიღებაზე
პასუხისმეგებლი პირი კობა ქარჩავა